ევროკავშირი
საქართველოსთვის

GOETHE INSTITUT

თანადამფინანსებელი და
განმახორციელებელი

შემოქმედებითი კავშირები

შემოქმედებითი
კომპასი
საქართველო

შემოქმედებითი კავშირები

გამოცემულია საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის მიერ
2024 წლის დეკემბერი

ევროკავშირი
საქართველოსთვის

GOETHE INSTITUT

თანადაფინანსებული და განხორციელებული

შემოქმედებითი კომპასი საქართველო

ზოგადი მიმოხილვა

შემოქმედებითი კომპასი

„შემოქმედებითი კომპასი“ ევროკავშირის დაფინანსებული ოთხწლიანი პროექტია, რომელიც ხორციელდება და თანადაფინანსებულია გოეთეს ინსტიტუტის მიერ. „შემოქმედებითი კომპასი“ საქართველოს რეგიონებში კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების გაძლიერებას ისახავს მიზნად, რაც, საერთო ჯამში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე:
www.goethe.de/CreativeCompassGeorgia

© ყველა სურათის საავტორო უფლებები ეკუთვნის შემოქმედებითი კავშირები 2024
გრანტის მიმღებებს.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პროექტი “შემოქმედებითი კომპასი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

03 შემოქმედებითი კომპასის შესახებ

05 შემოქმედებითი კავშირები 2024

05 საგრანტო კონკურსის მიმოხილვა

06 სამი მთავარი ფოკუსი

07 შემოქმედებითი კავშირები: სტატისტიკა

08 შემოქმედებითი ინიციატივების რუკა

09 თანაშექმნის 24 ამბავი

31 შეჯამება

შემოქმედებითი კავშირები 2024

შემოქმედებითი კავშირები 2024 პროექტის „შემოქმედებითი კომპასის“ ახალი საგრანტო კომპონენტია, რომელიც შემუშავდა საქართველოს რეგიონების შემოქმედებით სექტორში ახალი შესაძლებლობების გაჩენის, ცოდნის გაცვლისა და თანამშრომლობითი კავშირების გაღრმავების მიზნით.

ინდივიდიალური მობილობისა და პროფესიული კავშირების წახალისებით, ამ ინიციატივამ ხელი შეუწყო რეგიონების შემოქმედებითი პოტენციალის ახლებურად გააზრებასა და ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად თანაშექმნით მის წარმოჩენას.

შემოქმედებითი კავშირების მხარდაჭერით, დამოუკიდებელმა ხელოვანებმა, კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების პროფესიონალებმა, სათემო ლიდერებმა, სამოქალაქო და სახელოვნებო ორგანიზაციებმა საქართველოს რეგიონებში (თბილისის გარდა) ახალი შემოქმედებითი პროცესების ტალღა წარმოქმნეს. ადგილობრივი გამოწვევების საპასუხოდ სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში, კულტურისა და შემოქმედებით ინდუსტრიებში მრავალფეროვანი და მზარდი თანამშრომლობითი ქსელი შეიქმნა.

ინიციატივები ორი მიმართულებით დაფინანსდა:

- **შემოქმედებითი კავშირები ფიზიკური პირებისთვის.**
- **შემოქმედებითი კავშირები ორგანიზაციებისთვის:**
  ლოტი 1: შემოქმედებითი სივრცეებისა და კულტურის ორგანიზაციები
  ლოტი 2: სახელოვნებო რეზიდენციები

სულ 24 შემოქმედებითი პროექტი განხორციელდა საქართველოს ცხრა რეგიონში თანა-შექმნის, მობილობისა და ადგილობრივების ჩართულობის ფოკუსით. მთავარი პრიორიტეტი რეგიონების შემოქმედებითი პოტენციალის გამოყენება და შემოქმედებითი სივრცეების გაძლიერება წარმოადგენდა.

პროექტების განხორციელების დასაწყისშივე, შესაძლებლობების, ცოდნის გაცვლისა და თანამშრომლობითი საქმიანობის ახალი ფანჯარა გაიღო ათასობით ადგილობრივისთვის. საინტერესო და მრავალფეროვანი შეხვედრები და იდეათა გაცვლა დინამიურ თანამშრომლობით ქსელად გარდაიქმნა. პროექტის მონაწილეებისთვის შთამაგონებელი აღმოჩნდა ადგილობრივებთან ურთიერთობა და კონტექსტუალური ცოდნის გაზიარება, რაც შემდგომში საკუთარ შემოქმედებით პროექტებსა და ინდივიდუალურ საქმიანობაში ასახეს.

ამ საგრანტო კომპონენტით არამხოლოდ ინდივიდები, შემოქმედებითი სივრცეები და სახელოვნებო რეზიდენციები გაძლიერდნენ, არამედ, შემოქმედებითი ინდუსტრიების რეგიონული ეკოსისტემის მდგრად განვითარებასა და სექტორთაშორის თანამშრომლობასაც ჩაეყარა საფუძველი.

ეს პუბლიკაცია აერთიანებს მთელი ქვეყნის მასშტაბით მომხდარ 24 შემოქმედებით და შთამაგონებელ ამბავს, რომელმაც მოიცვა შემოქმედებითი სივრცეები შავი ზღვისპირეთში არსებული ხის გემის მაკეტების სახელოსნოებიდან მაღალმთიანი თუშეთის სახელოვნებო რეზიდენციების ჩათვლით. ეს პროექტები წარმოაჩენენ საქართველოს რეგიონების შემოქმედებით პოტენციალს.

სამი მთავარი ფოკუსი

მობილობა

შემოქმედებითი კავშირების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი საქართველოს მასშტაბით მობილობის მხარდაჭერა იყო - ხელოვანები გაემგზავრნენ მუდმივი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილიდან ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში კულტურის პროფესიონალებსა და ხელოვანებთან სინერგიის ძიებისა და თანამშრომლობის მიზნით.

მობილობის ამ კომპონენტმა ხელი შეუწყო ცოდნის გაცვლას, ახალი პროფესიული ქსელების ფორმირებასა და ადგილობრივი თემებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას.

თანაშექმნა

შემოქმედებითი კავშირების კიდევ ერთი მიზანი ინიციატივების ავტორებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების ჩართულობით თანაშექმნის წახალისება იყო. შესაბამისად, საგრანტო კომპონენტი ორიენტირდა ინიციატივებზე ძლიერი თანაშექმნის ელემენტით.

თანამშრომლობითი პროექტების ხელშეწყობით, ხელოვანთა პროფესიული კავშირების შემოქმედებითი პოტენციალის თავიდან აღმოჩენა და შესწავლა გახდა შესაძლებელი, რომელმაც, თავის მხრივ, ადგილობრივ კონტექსტსა და კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკოსისტემაში ახალი იმპულსები წარმოქმნა.

საზოგადოების ჩართულობა

საქართველოს რეგიონების შემოქმედებითი პოტენციალის აღმოჩენისა და კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ადგილობრივი გამოწვევების საპასუხოდ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ღონისძიებებში ადგილობრივი თემის ჩართულობა და მდგრადი ქსელების შექმნა.

პროექტმა დააფინანსა შედეგზე ორიენტირებული ინიციატივები, ხელი შეუწყო კუთვნილების გაჩენას ადგილობრივ მონაწილეებში, გააძლიერა მათი უნარები განმავითარებელ სემინარებსა და ერთობლივ ღონისძიებებში ადგილობრივების ექსპერტიზისა და ადგილზე დაგროვილი ცოდნის ინტეგრირებით.

ამ გზით შემოქმედებითმა კავშირებმა ხელი შეუწყო ადგილობრივებსა და ქვეყნის სხვადასხვა წერტილში გადაადგილებულ შემოქმედ პირებს შორის ურთიერთნდობისა და ახალი კავშირების ჩამოყალიბებას.

შემოქმედებითი კავშირები: სტატისტიკა

24
გრანტი

1100
ბენეფიციარი

4000
მონაწილე

45
დასახლება

- 2024 წლის აგვისტოდან 2024 წლის ოქტომბრამდე
- 17 ინდივიდუალური მობილობა
- 5 კულტურული სივრცე და ორგანიზაცია
- 2 ხელოვნების რეზიდენცია

ღია საგრანტო კონკურსის ფარგლებში 99 საგრანტო განაცხადი დაფიქსირდა. კონკურსის ჟიურის შეფასების შედეგების მიხედვით, საქართველოს ცხრა რეგიონში 24 შემოქმედებითი საგრანტო ინიციატივა დაფინანსდა.

ამბროლაური
ბაღდათი
ბეღლეთი
ბოლნისი
ბოძაური
გლოლა
გოდერძის უღელტეხილი
გორი (3x)
დანისპარაული
დართლო
დიკლო (2x)
ზუგდიდი (3x)
თაგო
თელავი
ლაილაში
ლანჩხუთი
ლასურიაში
მაჩხაანი
მარტყოფი (2x)
მესტია
ნიკორწმინდა
ნოქალაქევი
ოზურგეთი
ომალო (3x)
პანკისი
სენაკი
ტყიბული
ფოთი (4x)
ქობულეთი (2x)
ქუთაისი (2x)
ქულბაქი
ღები
შენაქო
შუაფხო
შრომა
ჩოხოროწყუ
ჩოხატაური (2x)
წვრიმი
წეროვანი
ჭიათურა
ხონი
ხულო

შემოქმედებითი კავშირების ღონისძიებების რუკა

რუკაზე მონიშნულია ის დასახლებები, სადაც შემოქმედებითი კავშირების მრავალფეროვანი ღონისძიებები განხორციელდა.



თანაშექმნის 24 ამბავი

ინდივიდუალური მობილობა

17 ინდივიდუალური ქვეგრანტის ფარგლებში, დამოუკიდებელმა ხელოვანებმა, სათემო ლიდერებმა და კულტურის პროფესიონალებმა შექმნეს სულ მცირე 2 წევრისგან შემდგარი გაერთიანებები ქვეყნის სხვადასხვა დასახლების შემოქმედებითი პოტენციალის კვლევის, რეგიონებში თანაშექმნისა თუ სახელოვნებო ღონისძიებების მასპინძლობის მიზნით.

ინდივიდუალური მობილობის მიმართულების მთავარ წინაპირობას საქართველოს რეგიონებში დროებით გადაადგილების სურვილი და მზაობა წარმოადგენდა. მონაწილეებმა ინიციატივები მათი ჩვეული გეოგრაფიული არეალის მიღმა განახორციელეს. შედეგად, ამ პროცესებმა გააძლიერა რეგიონებს შორის შემოქმედებითი თანამშრომლობა და ჩართულობა.

„ორნამენტების ფერად აღმართზე"

***ანი მელიქიძისა** და **ნათია ქარხილაურის** ინდივიდუალური მობილობა თუშეთში*

პროექტმა "ორნამენტების ფერად აღმართზე" ორი ახალგაზრდა ხელოვანი, ანი მელიქიძე და ნათია ქარხილაური თუშ ხელსაქმის ოსტატებთან დააკავშირა. ადგილობრივი ხელოვანები, მქსოველები და მეწარმეები სხვადასხვა სოფლიდან ცოდნის გაცვლისა და მასტერკლასების საშუალებით გაეცნენ მობილური ფოტოგრაფიის, განათებისა და კომპოზიციის ტექნიკებს, მიიღეს პრაქტიკული რჩევები ისეთი უნიკალური ნაწარმის ფოტოგადაღებისთვის, როგორიცაა ტრადიციული თუშური ხალიჩები, კერამიკისა და თექის ნამუშევრები.

სემინარებზე მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, ანიმ და ნათიამ მონაწილეებს სოციალური მედიისა და მარკეტინგის შესახებ რჩევები გაუზიარეს, რაც მონაწილეებმა ენთუზიაზმით მიიღეს და ორი ახალი ინსტაგრამ-გვერდიც შექმნეს საკუთარი მცირე ბიზნესების წარმოსაჩენად.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ციფრული ფოტო-წიგნი „გზა ღრუბლებისკენ - ფოტო ამბავი თუშეთის შესახებ", ფოტო-წიგნი წარმოაჩენს ადგილობრივების ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ კადრებსა და ადგილობრივებთან ინტერვიუს, მათ შორის, ეთნოგრაფ ნუგზარ იდოიძესთან, რომელმაც თუშური ტრადიციებისა და ორნამენტების შესახებ ისაუბრა. პროექტის ფარგლებში შექმნილი ფოტომასალა წარმოადგენს ღირებულ რესურსს რეგიონის შესახებ ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციისთვის.



მაჩხაანის მოძრავი მინი-მუზეუმი

***ნანა ბაგალიშვილისა** და **ქეთევან მოლაშვილის** ინდივიდუალური მობილობა ქვემო მაჩხაანში*

ნანა ბაგალიშვილისა და ქეთევან მოლაშვილის პროექტმა მოძრავი მინი-მუზეუმის შექმნითა და მაჩხაანის თეატრში კულტურული ღონისძიებების ირგვლივ ადგილობრივების გაერთიანებით გააცოცხლა ქვემო მაჩხაანის კულტურის ისტორია.

ამ უნიკალურმა მოძრავმა მუზეუმმა, რომელიც საარქივო მასალებისა და ზეპირი ისტორიების თავმოყრით შეიქმნა, სიღნაღისა და მიმდებარე დასახლებების 100-ზე მეტი მაცხოვრებლისა და სტუმრის ყურადღება მიიპყრო. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო მაჩხაანის შესახებ ქართული საზოგადოებისთვის აქამდეც ცნობილი იყო, ამ პროექტის ფარგლებში მისი ისტორიის უცნობი ფრაგმენტები გახდა ხელმისაწვდომი. მკვლევარმა თამარ სიხარულიძემ ქვემო მაჩხაანის სოფლისა და თეატრის შესახებ საარქივო მასალები შეისწავლა. შეიქმნა 10 საგამოფენო ისტორია და ჩაიწერა ადგილობრივი მაცხოვრებლების სამი ზეპირი ისტორია, რომელიც აღწერს, თუ როგორ გაერთიანდა ერთ დროს ქვემო მაჩხაანის სოფელი საერთო კულტურული სივრცის შექმნის იდეისა და შემოქმედებითი ინიციატივების ირგვლივ.

დასკვნითი ფესტივალი სოფლის კულტურული ტურით დაიწყო, რასაც ურბან სკეტჩერების ვორქშოფი მოყვა თბილისიდან მონწეული მხატვრებისა და ადგილობრივი ხელოვანების მონაწილეობით, რომლებმაც შედეგად სოფლის ჩანახატები შექმნეს.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქვემო მაჩხაანისა და ქიზიყის საბჭოთა ოკუპაციამდელი ისტორიების გამოფენა, სადაც მნახველები გაეცნენ თუ როგორ ფუძნდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებები ქიზიყში, როგორ დაარსდა ბოდბისხევისა და მაჩხაანის თეატრები და შეიქმნა პირველი საავადმყოფო, როგორ იხსნებოდა დუქნები და დეპო ბანკი, რა როლი ჰქონდათ სასულიერო პირებს სოფლის განვითარებაში და როგორ ერთიანდებოდნენ ქიზიყელები საკუთარი ინიციატივების გარშემო. დღის ბოლის კი, მაჩხაანის ძველ თეატრში ინოლა გურგულიას სიმღერები შეასრულეს მომღერლის ოჯახის წევრებმა. ფესტივალზეგე გაჩნდა ინიციატივები ახალი გამოცემისა და ახალი კონცერტის გამართვის შესახებ.

„საარქივო მასალები ადასტურებს, რომ სოფელს ჰქონდა სკოლა, წიგნთსაცავი, სავაჭრო დუქნები, შემოქმედებითი ცხოვრება და ძლიერი თვითმმართველობა; ქართულმა სამოქალაქო საზოგადების ორგანიზაციის რეგიონულმა ლიდერებმა, თუ შემოქმედებითი სექტორის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანია გადაიაზრონ, რომ თვითორგანიზებაში შეიძლება დაიბადოს გამოსავალი არსებული გამოწვევებიდან და ამის კარგი ისტორიული მაგალითების ცოდნაც ამ პროცესის დასაწყებად შესაძლოა იყოს დამხმარე კატალიზატორი."

ნანა ბაგალიშვილი,
ქვემო მაჩხაანი ოქტომბერი, 2024

ტუნგის ხის ზეთის კვლევის პროექტი

***ბაქარ მიგრიაულისა* და *ნიკა ქევხიშვილის* ინდივიდუალური მობილობა გურიაში**

ტუნგის ხის ზეთის კვლევის ექსპედიცია ბაქარ მიგრიაულისა და ნიკა ქევხიშვილის ინდივიდუალური მობილობით - თბილისიდან გურიაში, ჩოხატაურში ტუნგის ხის ნაყოფის წარმოების პოტენციალის შესასწავლად განხორციელდა. პროექტის მთავარი მიზანი ტუნგის ზეთის წარმოების დამოუკიდებლად კვლევა, ამ სფეროში გამოცდილი ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნის თავმოყრა, ტუნგის ზეთის წარმოების ადგილობრივი პოტენციალის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ტუნგის ნაყოფის საშრობის ინფრასტრუქტურის მოწყობა წარმოადგენდა.

მრავალფეროვანი აქტივობით, ადგილობრივებისა და განსაკუთრებით, სკოლის მოსწავლეებისთვის პრაქტიკული ვორქშოფებისა და ტრენინგების ჩატარებით, ადგილზე ვიზიტებითა და ლექციებით, პროექტმა აამაღლა საჯარო ცნობიერება და გამოავლინა ადგილობრივი პოტენციური პარტნიორები მომავალი შემოქმედებითი წარმოების ინიციატივებისთვის.

პროექტის ფარგლებში, გუნდმა მრავალმხრივი მიდგომა გამოიყენა როგორც გარემოსდაცვით, ისე ეკონომიკური საჭიროებების თვალსაზრისით, რაც, ხელს უწყობს რესურსების მდგრად გამოყენებასა და ახალისებს ადგილობრივ ჩართულობას შემოქმედებითი წარმოების პროცესებში. ადგილობრივ მონაწილეებს შორის ცოდნის გაცვლამ ხელი შეუწყო მდგრადი წარმოების უფრო ფართო გაგებას.

„საზოგადოების წევრები ასრულებდნენ კონკრეტულ როლებს თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ შორის ადგილობრივი ოჯახი, რომელმაც საშრობის ადგილი გამოყვეს პროექტისთვის და სპეციალისტები, რომლებიც იზიარებდნენ გამრობისა და გაწურვის ტექნიკას. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ სემინარებში და შეეძინეს ეკოლოგიურად პრაქტიკული უნარები. მკაფიო კომუნიკაცია და ხელშესახები შედეგები, როგორიცაა ფინანსური პერსპექტივები და უნარების განვითარება, ხდობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც შედეგად, უზრუნველყოფს საზოგადოების აქტიურ ჩართულობას მდგრადი პრაქტიკის შესწავლაში.“

ბაქარ მიგრიაული,
ჩოხატაური, 2024 წლის სექტემბერი

ნულოვანი ნარჩენების სკულპტურის ვორქშოფი და გამოფენა

***გიორგი არზიანისა* და *ნინო ჩეჩელაშვილის* ინდივიდუალური მობილობა ფოთში**

გიორგი არზიანისა და ნინო ჩეჩელაშვილის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ნულოვანი ნარჩენების სკულპტურის ვორქშოფისა და გამოფენის ორგანიზებით, ფოთის ადგილობრივი საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებასა და მდგრადი პრაქტიკის შთაგონებას შეეწყო ხელი - ქალაქში, რომელიც დგას მნიშვნელოვანი ისეთი გარემოსდაცვითი გამოწვევების წინაშე, როგორიცაა ჰაერისა და მყარი ნარჩენებით გარემოს დაბინძურება.

თანაშექმნის ვორქშოფებში, ვიდეო-აუდიო ინსტალაციის დამზადებაში, დისკუსიებსა და ნულოვანი ნარჩენების სკულპტურების გამოფენა-კონკურსში ჩართულ 50-ზე მეტ მონაწილეში, ძირითადად, ადგილობრივი ახალგაზრდობა ჭარბობდა, რომელთაგან კონკურსის სამი გამარჯვებული დაჯილდოვდა პროექტის მიერ. კონკურსმა დამატებითი ამაღლებელი ელემენტი შესძინა ვორქშოფს და მონაწილეებს გაუჩინა მოტივაცია, განევრცოთ საკუთარი შემოქმედებითი თვალსაწიერი. გაიმართა დისკუსია მწვანე გადაწყვეტების მნიშვნელობასა და შემოქმედებითი მიდგომების როლზე ეკოლოგიური გამოწვევების დაძლევაში. ამ სესიებში ჩაერთნენ ადგილობრივი თემის წევრები, ახალგაზრდები და დაინტერესებული მხარეები, რომლებიც გაერთიანდნენ ფოთის გარემოსდაცვით საკითხებზე ხედვების გაზიარებისა და პოტენციური გადაწყვეტების ძიების მიზნით.

პროექტმა მონაწილეებს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლების შესაძლებლობა მისცა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების პასუხისმგებლობის გაზრდის თვალსაზრისით. გარე სივრცეში მოწყობილი გამოფენით ნარჩენებისგან შექმნილი ნამუშევრები ბუნებას დაუკავშირდა, რაც ხაზს უსვამდა მწვანე მიდგომების პრაქტიკულ მნიშვნელობას. პროექტის გუნდმა ითანამშრომლა ფოთში სოციალურ კაფე „ლიმენასთან“, რომელიც შემოქმედებითი კავშირების კიდევ ერთი ბენეფიციარია (იხ. გვერდი 28), რაც თავის მხრივ, ხაზს უსვამს პროექტის შესაბამისობას საზოგადოების საჭიროებებთან და მის პოტენციალს გრძელვადიანი გავლენის მოხდენის თვალსაზრისით.

ყველაფრის მაღაზია

***ილია მახარაძისა* და *თინათინ წურკავას* ინდივიდუალური მობილობა გორში**

ილია მახარაძისა და თინათინ წურკავას მობილობის პროექტმა გორში ადგილობრივი თემი შემოქმედებითი ვორქშოფებით გააერთიანა. „გორის ხელოვნების სახლთან“ პარტნიორობით, პროექტმა მიიზიდა და სემინარებში ჩართო ხელოვანები განურჩევლად ასაკისა, 17-დან 60 წლამდე, რაც ძლიერი პროფესიული ქსელის ჩამოყალიბების წინაპირობაა. საინტერესოა, რომ პროექტის მონაწილეთა უმრავლესობა გამოცდილი მხატვარი იყო, მაგრამ ორი მხატვრისთვის ეს პირველი საგამოფენო გამოცდილება იყო.

პროექტის დასკვნით გამოფენაში წარმოდგენილი იყო 16 ნამუშევარი, მათ შორის ათი ადგილობრივი მხატვრების მიერ შექმნილი, ნაწილი ტრადიციულ სახელოვნებო მედიუმებში, როგორიცაა თიხა და ქსოვილები, ნაწილი კი თანამედროვე ხელოვნების მიმართულებით, როგორიცაა ხმის სენსორის ინსტალაცია და ჩამწერი მოწყობილობით შექმნილი კომიქსები. გამოფენისთვის ზოგიერთი ნამუშევარი რამდენიმე ხელოვანის მიერ ერთობლივად შეიქმნა, გორის ხელოვნების სახლის საექსპოზიციო სივრცე პროექტის კონცეფციის შესაბამისად მოეწყო.

„ყველაფრის მაღაზიის“ კონცეფცია მოიცავს უწყვეტ მოლაპარაკებებსა და თანამშრომლობას პროექტის შემდეგაც მონაწილეებსა და არტისტებს შორის, რაც საზოგადოებასა და ხელოვანებს შორის კომუნიკაციის ახალ მოდელს აყალიბებს.

„ნამუშევრების რეალიზება არის უწყვეტი პროცესი, რომელიც გრძელდება პროექტის დასრულების შემდეგაც, რაც დამოკიდებულია ჩვენი კონცეფციიდან გამომდინარე მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებზე და სხვადასხვა დროს იქმნება სხვადასხვა ხელოვანის მიერ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დავამყაროთ და შევარჩიოთ საკომუნიკაციო არხები მონაწილეებსა და ორგანიზატორებს შორის და ვიფიქროთ თანამშრომლობის სამომავლო ფორმებზე“.

ილია მახარაძე,
გორი, 2024 წლის აგვისტო

„არტიზანული ხელოვნება მომავლისთვის“

***იწგა კიბირაისა* და *მაწაწა მიქაშავიძის* იწდივიდუალური მობილობა წეროვანში**

ფოთის სახელოვნებო რეზიდენციის გუნდმა ინგა კიბირაისა და მანანა მიქაშავიძის შემადგენლობით მობილობის პროექტი „არტიზანული ხელოვნება მომავლისთვის“ წეროვანში განახორციელა ადგილობრივ ხელსაქმის ოსტატებთან და ხელოვანებთან ერთად, რომელთა უმრავლესობაც 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირია.

გუნდმა ორგანიზაცია „სინერგიის“ მხარდაჭერით ახალგაზრდული კულტურის ცენტრი ცოცხალ შემოქმედებით სივრცედ აქცია, სადაც ჩატარდა შემოქმედებითი ვორქშოფების სერია თანამედროვე ხელოვნებისა და ტრადიციების შერწყმით. დეკორატიული კალათების დამზადების ვორქშოფზე მონაწილეებმა გადამუშავებული მასალებისგან მრავალფუნქციური ნივთები დაამზადეს, დეკორატიული ფილების ჩამოსხმის სემინარზე მონაწილეებმა ბუნება თაბაშირის ფილებზე ასახეს მცენარეების ანაბეჭდებით. ქსოვილზე დეკორატიული ბეჭდვის ტექნიკით კი უბრალო ჩანთები ცოცხალ, პერსონალიზებულ ნამუშევრებად იქცა.

პროექტი დასრულდა მონაწილეების შესრულებული ნამუშევრების გამოფენით, რომელმაც ადგილობრივი საზოგადოების წევრები, მონაწილეების ახლობლები და ცნობისმოყვარე გამვლელები მოიზიდა. სივრცე მოიცვა საინტერესო საუბრებმა და დისკუსიებმა მომავალი თანამშრომლობისა და ბიზნეს განვითარების შესაძლებლობების შესახებ. პროექტის დასასრულს, ახალგაზრდული კულტურის ცენტრს გადაეცა სახელოვნებო მასალები რაც ახალი შემოქმედებითი პროცესების გაგრძელებაში დაეხმარება ცენტრს.

„მესამე სემინარი ქსოვილზე დეკორატიულ ბეჭდვაზე ჩავატარეთ. ამ სესიას მოუთმენლად ელოდნენ მონაწილეები, რომლებსაც დაევალათ შეექმნათ სპეციალურად შეკერილ ჩანთებზე საკუთარი დიზაინისა და დეკორატიული ბეჭდვის ან სხვა ტექნიკის გამოყენებით დეკორატიული ნიმუშები. თავდაპირველი ყოყმანისა და საცდელი პირველი ნაბიჯების შემდეგ, ჩვენ მალევე გადავაქციეთ უბრალო თეთრი ჩანთები საინტერესო ნამუშევრებად.“

იწგა კიბირია,
წეროვანი, 2024 წლის ოქტომბერი

კინოჩვენებებისა და დისკუსიების სერია რეგიონებში

***ირინე ყორდანიას, თინა ლაღიძისა* და *მარადია ცაავას* იწდივიდუალური მობილობა**

რეგიონული მობილობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც კინემატოგრაფისტთა ჯგუფი თბილისიდან გადაადგილდებოდა სხვადასხვა დასახლებაში, როგორიცაა ნოქალაქევი, შრომა, ხულო, ქობულეთი, ბაღდათი და სხვა, ცდილობდა ალტერნატიული კულტურული შინაარსის შემოტანას საქართველოს რეგიონებში, რომლებიც გამოირჩევა მწირი კულტურული ხელმისაწვდომობით.

კინოჩვენებებითა და დისკუსიებით 20-ზე მეტ სხვადასხვა დასახლებაში, პროექტის გუნდმა შეძლო ადგილობრივებისთვის განსხვავებული დისკურსი შეეთავაზებინა. ქართული, ევროპული და ამერიკული ფილმების ჩვენებით პროექტმა მოიცვა ადამიანის უფლებების, თანასწორობისა და თავისუფლების თემები.

პროექტმა სოციალური საკითხები ახალი პერსპექტივებით წარმოაჩინა და ხელი შეუწყო მათ კრიტიკულად გადააზრებას. თითოეულ ჩვენებას თან ახლდა დისკუსია, რომელსაც უძღვებოდნენ გამოცდილი მოწვეული პროფესიონალები, რომლებიც წარმართავდნენ საუბრებს სამოქალაქო ჩართულობის, თავისუფალი გამოხატვისა და ინფორმირებული მოქალაქეობის შესახებ. პროექტის წარმატების შეფასება ეყრდნობა მონაწილეთა ჩართულობის მასშტაბებსა და უკუკავშირს, ისევე, როგორც აუდიტორიის მიერ წამოჭრილი და განხილული თემების აღქმას. საბოლოო ჯამში, პროექტმა შექმნა ღია დიალოგის პლატფორმა, გამოიყენა კინოს თხრობის ძალა, რათა გააჩინოს რეფლექსია მწვავე სოციალურ საკითხებზე და წაახალისოს დადებითი ცვლილებები. პროექტში ჩაერთო 500-ზე მეტი ადგილობრივი სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ოჯახები, ახალგაზრდები და თემის ლიდერები. ჩვენების გარდა, ცნობილ რეჟისორებთან შეხვედრებმა და დისკუსიებმა საზოგადოების წევრები სიღრმისეულ დიალოგში ჩართო.

„ამ პროექტის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო სოფლად მუნიციპალური კინოთეატრების აუცილებლობის შესახებ დისკუსიების წამოწყება. ამ საუბრებმა ხაზი გაუსვა კრიტიკულ დანაკლისს: კინორეჟისორები ქმნიან მნიშვნელოვან შინაარსს, თუმცა ძირითად აუდიტორიას არ აქვს ამ ნამუშევრების ნახვის შესაძლებლობა. ჩვენ დავინახეთ, რომ კინოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეგიონების თემებში სადაც ადამიანები აფასებენ კულტურულ მინაარსთან დაკავშირების შესაძლებლობებს და იაზრებენ მათ მნიშვნელობას. ჩვენი კინოჩვენებები არა მხოლოდ გასართობი შესაძლებლობა იყო, არამედ შევქმენით პლატფორმა მნიშვნელოვანი დისკუსიებისთვის შესაბამის სოციალურ საკითხებზე, რაც გვაჩვენებს, რომ ფილმი და კულტურა ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამ საკითხის განხილვით, ჩვენ ვაკავშირებთ თანამედროვე საქართველოს კულტურასა და საზოგადოებას ერთმანეთთან, რაც უზრუნველყოფს, რომ ორივე - ფილმის შემქმნელებისა და მაყურებლის ხმები ერთად იყოს რეზონანსული“.

ირინე ყორდანია,
ბაღდათი, 2024 წლის სექტემბერი

კინოსახელოსნო თინეიჯერებისთვის

***წინო შველიძის, ლიკა გლურჯიძის, ალექსანდრე გაბელიასა* და *გიორგი ჯავახიშვილის* იწდივიდუალური მობილობა ბოლნისში**

კინოსახელოსნომ 14-17 წლის ბოლნისელი სკოლის მოსწავლეები ერთი თვით კინო სამყაროში ამოგზაურა. CinExpress-ის გუნდის წევრების - ლიკა გლურჯიძის, ალექსანდრე გაბელიას, გიორგი ჯავახიშვილისა და ნინო შველიძის ხელმძღვანელობით, პროექტმა რვა საინტერესო სესია გამართა ბოლნისელი ახალგაზრდებისთვის, რომელთაგან თითოეული ორ-სამ საათს გაგრძელდა და თანაბარად მოიცვა კინოს თეორია და პრაქტიკა. პროექტმა მონაწილეებს საშუალება მისცა ინდუსტრიის პროფესიონალებთან და ცნობილ პირებთან ჰქონოდათ პირდაპირი კომუნიკაცია, როგორიცაა რეჟისორი ალექსანდრე კობერიძე, კინო ოპერატორი გიორგი შველიძე, არტ დირექტორი ანიკო იაკობაშვილი, ფილოსოფოსი ავთანდილ ძამაშვილი.

სამ ძირითად კომპონენტზე ფოკუსირებით, კინოსახელოსნომ მოიცვა თემები:

- ლექციები და გამოცდილების გაზიარება კინოს პროფესიონალებისგან.
- კინოჩვენებების სერია, რასაც მოჰყვა სიღრმისეული დისკუსიები.
- პრაქტიკული აქტივობები, რომლებმაც გააცოცხლეს კინემატოგრაფიული კონცეფციები.

მონაწილეები გაეცნენ ქართული და მსოფლიო კინოს მდიდარ ისტორიას, გამოიკვლიეს მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ნიუანსები და კინორეჟისორის, სამხატვრო ხელმძღვანელისა და კინოოპერატორის ხელმძღვანელობით შეიძინეს კინოს გადაღების პრაქტიკული უნარები. მათ უყურეს და ერთობლივად განიხილეს ოთხი ფილმი, რამაც ხელი შეუწყო კინოს ელემენტების ფართოდ აღქმასა და მისი მნიშვნელობის გააზრებას.

იდეა, რომელიც პროექტის გუნდს გაუჩნდა 2022 წელს ბოლნისის კინოთეატრში სტუმრობისას, ამ პროექტის საშუალებით რეალობად იქცა. გუნდმა წარმოაჩინა ადგილობრივი კინოს მნიშვნელობა და შთაგონა თინეიჯერები, რომ დაეფასებინათ და ეზრუნათ ამ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე. შედეგად, სახეზეა კინოსადმი დიდი ინტერესი, ყალიბდება რა ახალგაზრდა კინოს მოყვარულთა საზოგადოება ბოლნისში.

„მი ზი ინანა“

***მაკა კილაძისა** და **ზვიად შერაზადაშვილის** ინდივიდუალური მობილობა გორში*

ინდივიდუალური მობილობის პროექტმა „მი ზი ინანა“ წარმოაჩინა მულტიმედია არტისტის, მაკა კილაძისა და არქეოლოგ ზვიად შერაზადაშვილის ერთობლივი ნამუშევარი. თანამშრომლობა მიზნად ისახავდა თანამედროვე ცეკვის, ხელოვნებისა და პერფომანსის წარმოჩენასთან ერთად საქართველოს უძველესი ისტორიისა და კულტურისადმი ინტერესის გაღვივებას. პროექტმა ისტორიის, კულტურისა და თანამედროვე ხელოვნების შერწყმით წარმატებით შეუწყო ხელი ფართო საზოგადოებისთვის უცნობ მტკვარ-არაქსის კულტურის პოპულარიზაციას.

პროექტის აქტივობები მოიცავდა ფილმის „ერთი წვეთი ლურჯი“ ჩვენებასა და განხილვას, გამოფენას სახელწოდებით „მი ზი ინანა“, არქეოლოგ ზვიად შერაზადაშვილის საჯარო ლექციასა და ორიგამის ორ ვორქშოფს „ჯადოსნური კუბები“ ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით. ამ აქტივობებმა მიიზიდა 500-ზე მეტი მონაწილე, მათ შორის სკოლის მოსწავლეები, ახალგაზრდები, სათემო ლიდერები, ოჯახები. პროექტმა ხელი შეუწყო გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის წარმოჩინებას, როგორც სივრცეს ისტორიისა და კულტურის გადააზრებისა და ხელახლა აღმოჩენისთვის.

კოლაბორაციამ წაახალისა ღია დიალოგი, ვიდეო არტისა და ხელოვნების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით სოციალურ საკითხებზე რეფლექსიის შთაგონების მიზნით. მან ხაზი გაუსვა ინტერდისციპლინური თანამშრომლობის მნიშვნელობას, რომელიც აერთიანებს მხატვრებისა და არქეოლოგების პერსპექტივებს. ინიციატივა დასრულდა გამოფენით, სადაც წარმოდგენილი იყო გადამუშავებული მასალებით შექმნილი ახალი ნამუშევრები, რამაც გამორჩეული შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

„მტკვარ-არაქსის მუზეუმისა და კულტურის აღმოჩენა ჩემთვის მართლაც შთამაგონებელი იყო და ღრმა შთაბეჭდილება დამიტოვა. ეს იყო უნიკალური გამოცდილება, მით უმეტეს, რომ შედგა ჩემი, როგორც შემსრულებლის დებიუტი. ჩემი ინსტალაცია სტუმრებმა თავიანთი პერსონალური ინტერპრეტაციით აღიქვეს. ზვიად შერაზადაშვილთან კოლაბორაცია შესანიშნავი გამოცდილება იყო და სამომავლოდ, ვგეგმავ მისი ლექციებისგან მიღებული ინსპირაცია ჩემს მომავალ პროექტებში ავსახო“.

მაკა კილაძე,
გორი, 2024 წლის ოქტომბერი



„ლიანდაგი“ - სამკერვალო სახელოსნო

***ლელა ჩიხლაძისა** და **მზია ლაშხის** ინდივიდუალური მობილობა ფოთსა და ტყიბულში*

ტექსტილის დიზაინერი ლელა ჩიხლაძე ტყიბულიდან და მსუბუქი ინდუსტრიის ტექნოლოგი მზია ლაშხი თბილისიდან გაერთიანდნენ, თანამედროვე სამკერვალო სახელოსნოსა და გამოფენების შესაქმნელად ფოთსა და ტყიბულში, ქალაქების პოსტინდუსტრიული იდენტობის წარმოსაჩენად. „ლიანდაგი“, სამკერვალო სახელოსნო პოზიციონირდა ეკომეგობრული მოდისა და დიზაინის მოყვარულთათვის. მზია ლაშხის მენტორობით, მონაწილეები ფოთიდან და ტყიბულიდან, გაეცნენ ჭრის, კერვისა და ნიმუშის დამზადების ტექნიკას მცირე ზომის ტექსტილის წარმოებისთვის. პროექტმა აამაღლა ეკომეგობრული კერვისა და მეორადი ტექსტილის გამოყენების შესახებ ცნობიერება.

ინიციატივაში ჩართული იყო ადგილობრივი მოსახლეობა განურჩევლად ასაკის, სქესის ან სხვა გავრცელებული სტიგმებისა. ადგილობრივი ჩართულობის გასაძლიერებლად პროექტმა გამოიყენა მოხალისეობრივი თანამშრომლობის კულტურა. ტრენინგ სესიებს მოყვა მოძრავი გამოფენა ტყიბულში, რომელიც გაიმართა გამოფენებისთვის ნაკლებად პოპულარულ ადგილებში. ადგილობრივების გამოხმაურება და უკუკავშირი ტყიბულში გამოფენილ ნამუშევრებთან დაკავშირებით, საუბრობს მათ ინტერესზე სიახლეებისა და თემის შემოქმედებითად წარმოჩენის ახალი გზების მიმართ. პროექტი დასრულდა ფოთში დასკვნითი გამოფენით, რომელმაც ქალაქის საზღვაო ხასიათი წარმოაჩინა.

„ახალგაზრდების ჩართვა ახალ სიცოცხლეს და ენერგიას მატებს ჩვენს საქმიანობას და ნაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პროექტი ასევე ძალიან მიმზიდველი აღმოჩნდა 60 წელს გადაცილებული ადამიანებისთვისაც, რომელთა მოტივაცია და ენთუზიაზმი გადამდები იყო. ერთ-ერთმა ბენეფიციარმა, საჯარო სკოლის მასწავლებელმა, ჩვენს კურსში მონაწილეობისას, სარდაფიდან დედის ხელის საკერავი მანქანა გამოიტანა, მექანიკოსის დახმარებით გამართა და პროექტის დასრულების შემდეგ სიხარულით გვითხრა, რომ ის ახლა დამოუკიდებლად აგრძელებს საყოფაცხოვრებო თეთრეულის კერვას სახლში“.

ლელა ჩიხლაძე,
ფოთი, 2024 წლის ოქტომბერი

კერამიკის, ქანდაკებისა და მოზაიკის ვორქშოფების სერია კახათელი ახალგაზრდებისთვის

***წანა ჯაბუას** და **წანა მაქაცარიას** იწდივიდუალური მობილობა ზუგდიდში*

დევნილებით კომპაქტურად დასახლებულ სოფელ კახათში „სათემო განათლებისა და გაძლიერების ცენტრის“ ქანდაკებისა და კერამიკის კლუბის ხელმძღვანელი ნანა ჯაბუა და მოზაიკის სპეციალისტი ნანა მაქაცარია გაერთიანდნენ შემოქმედებით პროცესებში სკოლის მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ჩართულობისთვის. პროექტის ფარგლებში ადგილობრივების ხელოვნებისა და შემოქმედებისადმი ინტერესის გაღვივებას საფუძვლად გუნდის წევრების ცოდნა და გამოცდილება დაედო. წარმატებით წარიმართა ხელოვნების ვორქშოფების ყოველკვირეული სერია, რომლებშიც ბავშვები, ახალგაზრდები და ქალები ჩაერთნენ და მონაწილეობდნენ სხვადასხვა შემოქმედებით აქტივობაში.

გუნდის ორივე წევრის ხელმძღვანელობით ინტერაქტიულ სესიებზე მონაწილეები გაეცნენ სხვადასხვა გამოყენებითი ხელოვნების მასალას, დაეუფლნენ ახალ უნარ-ჩვევებს, შექმნეს ნამუშევრები ქანდაკების, კერამიკისა და მოზაიკის მიმართულებით.

მონაწილეები კახათიდან ყოველკვირეულად ესწრებოდნენ ზუგდიდში სხვადასხვა სამხატვრო სახელოსნოში ორგანიზებულ ვორქშოფებს, მათ შორის კერამიკულ სტუდიაში „ორკოლი“, სადაც ისინი გაეცნენ კერამიკული თიხის დამუშავებას ცნობილი ოსტატის ხომ არა? რობერტ აბსანძის სწავლებით. მონაწილეებმა შექმნეს თიხის ნამუშევრები და გაეცნენ შემოქმედებითი პროცესის სრულ ციკლს.

პროექტის მეშვეობით, გაიზარდა ბავშვებისა და ახალგაზრდების ცოდნა და უნარები, წახალისდა მათი შემოქმედებითი ნიჭი.

პროექტმა ხელი შეუწყო მასპინძელ და იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას შორის კულტურულ ინტეგრაციას, შეითავსა რა როლი მათ შემოქმედებითად დაკავშირებაში. ვორქშოფები დასრულდა გამოფენით, რომელზეც მონაწილეთა კოლექტიური შემოქმედება წარმოჩინდა.

პროექტმა არა მხოლოდ გაამდიდრა ადგილობრივი კულტურა, არამედ შექმნა ხანგრძლივი კავშირები საზოგადოების წევრებს შორის და გამოკვეთა ხელოვნების მნიშვნელობა ერთიანობისა თუ პიროვნული განვითარების ხელშეწყობაში.

„ულევი ფესტი“

***ნიკა გოგიაშვილის, მარიტა გოგიჩაიშვილისა** და **იო ლორიაშვილის** იწდივიდუალური მობილობა მარტყოფში*

„ულევი ფესტის“ მუსიკალურ ღონისძიებათა სერია გაიმართა ნიკა გოგიაშვილის, მარიტა გოგიჩაიშვილისა და იო ლორიაშვილის გუნდის ორგანიზებით. პროექტმა ჩამოაყალიბა ინკლუზიური კულტურული პლატფორმა მარტყოფში მაცხოვრებლებისა და სტუმრების შემოქმედებითი თვითგამოხატვისთვის, რომელმაც, მუსიკალური და სახელოვნებო აქტივობებით თემში მჭიდრო კავშირები წარმოქმნა. ფესტივალმა მუსიკალური პერფორმანსების, სახელოვნებო ვორქშოფებითა და ინტერაქციული აქტივობებით ადგილობრივები მარტყოფიდან დააკავშირა მიმდებარე დასახლებების მაცხოვრებლებთან და თბილისიდან ჩამოსულ მონაწილეებთან.

მარტყოფში გამართულ მასშტაბურ ფესტივალს 400-450 მონაწილე დაესწრო, პროექტის გუნდის წევრების კარდაკარ სიარულისა და ადგილობრივებთან უშუალო კომუნიკაციის შედეგად. ფესტივალმა დამსწრეებს, განურჩევლად ასაკისა, ცოცხალი მუსიკა, ჯემ-სესიები და კერამიკის, ილუსტრაციისა და თეატრის ვორქშოფები შესთავაზა. ვორქშოფებზე მონაწილეები უშუალოდ ჩაერთნენ პრაქტიკულ შემოქმედებით პროცესებში, ცოცხალი პერფორმანსები მათ თვითამოხატვის საშუალებას აძლევდა, ხოლო დეკორაციული ინსტალაციები და კვების ჯიხურები საერთო სივრცეს კიდევ უფრო მეტად ინკლუზიურს ხდიდა.

ფესტივალის გარდა, ულევის სტუდიაში გაიმართა შეხვედრები მხატვრებთან ლექსო რატიანთან, მიშოსთან პროექტიდან „მიშვარდი“ და ნიკო გორგოშაძესთან. მასშტაბური ფესტივალის წარმატებამ შემდგომში დამატებითი მცირე ღონისძიებების ჩატარებაც განაპირობა, რამაც, საბოლოო ჯამში კიდევ უფრო გააძლიერა პროექტის ადგილობრივი ჩართულობის ასპექტი და თანამშრომლობითი კავშირები. ფესტივალმა შექმნა ძლიერი კულტურული გამოცდილება, რომელმაც რეზონანსი გამოიწვია როგორც სოფლის მაცხოვრებლებში, ასევე სტუმრებში.

პანკისელი ახალგაზრდების ინტეგრაციის ხელშეწყობა შემოქმედებითი თანამშრომლობის გაძლიერების გზით

წიწო გოგიაშვილისა* და *ასმათ ხანგოშვილის* ინდივიდუალური მობილობა *პანკისში

„ახალგაზრდების აქტიურმა მონაწილეობამ განაპირობა სამომავლო ღონისძიებების იდეების გენერირება, როგორიცაა ლიტერატურული სპექტაკლების ორგანიზება და უნივერსიტეტის წარმომადგენლების მოწვევა და ფილმების ჩვენება, რაც აჩვენებს პროექტის მდგრადობას. მონაწილეები ახლა უკვე თავად წარმართავენ ინიციატივებს თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით.”

წიწო გოგიაშვილი,
პანკისი, 2024 წლის ოქტომბერი

ნინო გოგიაშვილისა და ასმათ ხანგოშვილის მობილობის პროგრამამ შემოქმედებითი ინიციატივების მეშვეობით პანკისში ქისტების ეთნიკური უმცირესობა და ეთნიკური ქართველების დაახლოვებას შეუწყო ხელი.

ეთნიკურად მრავალფეროვანი პანკისიდან ახალგაზრდების ჯგუფმა სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული აქტივობებში ჩართვით საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი და ახალი უნარები აღმოაჩინა.

პროექტი დაიწყო თელავის სამოქალაქო ჩართულობის ცენტრში ვიზიტით სესიაზე „ლიტერატურა და დემოკრატია: ჯორჯ ორუელის რომანები“ დასასწრებად, რასაც მოჰყვა ძველი თელავის ისტორიული საცხოვრებლების დათვალიერება გიდის თანხლებით. ამ ტურმა გააცოცხლა თელავის ისტორიულ ნაწილში მცხოვრები ხელოსნების, ვაჭრებისა და საცხოვრებლების მფლობელების ისტორიები, რითიც თელავის მულტიკულტურული წარსული წარმოჩინდა.

პანკისის „როდი სკოტის ფონდთან“ პარტნიორობით პროექტმა ხელი შეუწყო ცოდნის გაცვლასა და შემოქმედებით თანამშრომლობას. ინიციატივის საყრდენს ადგილობრივი კონტექსტთან შესაბამისი თემების შერჩევა წარმოადგენდა, როგორიცაა ქისტურ და ქართული მითოლოგიაში გაზიარებული საერთო თემები, გენდერული თანასწორობა, პრაქტიკული ცოდნის გაზიარება ციფრული მარკეტინგისა და კომპოზიციის ხელოვნებაში.

პროექტში მონაწილეობა მიიღო 72 ახალგაზრდამ, რომლებმაც გააცნობიერეს საკუთარი კულტურული იდენტობის მნიშვნელობა და საერთო როლი ქართულ კონტექესტში. მონაწილეებს კიდევ უფრო მეტი საერთო ისტორიის ძიების მოტივაცია გაუჩნდათ, რითიც თანაცხოვრების მნიშვნელობის გადააზრება შეძლეს.

„როდი სკოტის ფონდის“ მიერ გამოყოფილი სივრცე გახდა დისკუსიებისა და იდეების მიმოცვლის კერა, რომელიც განაგრძობს ზრდას პროექტის დასრულების შემდეგაც.

„კვლევითი პროექტის გაგრძელებად დაგეგმილი გვაქვს ქართული ფოლკლორის ხელმისაწვდომობა მკვლევარებისთვის, პედაგოგებისა და საზოგადოებისთვის მთელი მსოფლიოში. ეს მოიცავს სპეციალური ვებგვერდის შექმნას, სადაც განთავსდება ყველა ჩაწერილი ამბავი, ტრანსკრიპციები, თარგმანები და კულტურული რესურსები. ეს ციფრული პლატფორმა იქნება ცოცხალი არქივი.“

სალომე ვეფხვაძე,
ხულო, 2024 წლის სექტემბერი

„უკანასკნელი მთხრობელი”

სალომე ვეფხვაძისა* და *ალექსანდრე ელიოსიძის* ინდივიდუალური მობილობა *რეგიონებში

კინორეჟისორ სალომე ვეფხვაძისა და DJ - მუსიკის სელექტორ ალექსანდრე ელიოსიძის კვლევითი პროექტის „უკანასკნელი მთხრობელი“ ფოკუსი ქართული ფოლკლორის, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და მთიანი აჭარის შორეული სოფლების მითების, ლეგენდებისა და ხალხური ზღაპრების ზეპირი ტრადიციების დოკუმენტირება და შენარჩუნება იყო.

პროექტის ფარგლებში ქართულ სოფლებში მობილობით 31 მთხრობელთან გასაუბრება მოხდა და ის ადგილობრივი ზეპირი ტრადიციები ჩაიწერა, რომლებიც თაობების განმავლობაში შეინარჩუნეს ადგილობრივებმა. ინტერვიუებმა მოიცვა ადგილობრივი მითები, ლეგენდები, რიტუალები და წეს-ჩვეულებები, რაც თავისთავად ღირებული ინფორმაციაა თითოეული რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ყურადღება გამახვილდა არა მხოლოდ თავად ისტორიებზე არამედ თხრობის უნიკალურ სტილსა და რეგიონულ დიალექტებზე.

უხუცესების ისტორიების აღბეჭდვით პროექტმა შექმნა ციფრული არქივი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უწყვეტობას და საერთაშორისო კულტურულ გაცვლას.

შეგროვებული სიუჟეტები ტრანსფორმირდა ვიდეოამბად კულტურული და ლინგვისტური ნიუანსების შენარჩუნებით. ეს ვიდეო პროდუქცია მოიცავს ინტერვიუებს მთხრობელებთან, ასახავს რეგიონების პეიზაჟების კადრებს, ვიდეოს დართული აქვს ინგლისური სუბტიტრები.

„ულევი კერამიკა”

თამარ ბაქრაძისა* და *ფილიპე ხალვაშის* ინდივიდუალური მობილობა *მარტყოფში

პროექტმა „ულევი კერამიკა” მხატვრული გამოხატულებისა და საზოგადოების ჩართულობის ახალი ტალღა წარმოქმნა სოფელ მარტყოფში, ექვსი კერამიკული სახელოსნოსა და ილუსტრაციის ვორქშოფის ორგანიზებით. ადგილობრივ მოსახლეობას - ბავშვებს, მოზარდებსა და მოხუცებს, მიეცათ შესაძლებლობა შეეცნოთ შემოქმედებითი დარგები, შეიძინონ ახალი უნარები, განიცადონ შემოქმედების სიხარული და ისწავლონ ახალი ტექნიკა, როგორიცაა კერამიკა და ბეჭდვა.

პროექტმა მონაწილეებს გააცნო სახელოვნებო პრაქტიკები, წაახალისა მათი თვითგამოხატვა და ურთიერთგაზიარებული შემოქმედებითი გამოცდილებით ერთიანობის განცდა გაარინა. ადგილობრივი მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ორი კერამიკული და ერთი ილუსტრაციის ვორქშოფი. ღონისძიების ცოცხალმა და ხალისიანმა ატმოსფერომ დამატებით მიიზიდა ახალგაზრდები ვორქშოფებში მონაწილეობისთვის. ფესტივალის გარდა, ცალკეული ვორქშოფები ჩატარდა სტუდიაში, რომელმაც უფრო მყუდრო და ფოკუსირებული სასწავლო გარემო შესთავაზა მონაწილეებს.

პრაქტიკული ხელსაქმითა და მასალების ხელმისაწვდომობით პროექტის ფარგლებში შეიქმნა სივრცე, რომელშიც მონაწილეებს თავისუფლად შეეძლოთ სიახლეების ძიება და საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის აღმოჩენა. ბევრისთვის ეს იყო მათი პირველი შეხება კერამიკასა და ბეჭდვის ტექნიკასთან, რითიც ეს გამოცდილება კიდევ უფრო მძაფრი და შთამაგონებელი გახდა. დადებითი უკუკავშირი და გაკვეთილების გაგრძელების სურვილი მონაწილეების მხრიდან, მეტყველებს პროექტის წარმატებაზე შემოქმედებითობის ძიების წახალისებისა და საზოგადოებრივი კავშირების შექმნაში.

„ადგილობრივი საზოგადოების ყურადღების მისაქცევად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მონალისეებთან ერთად სოფლებში კარდაკარ დავდიოდით და პირდაპირ ვესაუბრებოდით ადგილობრივებს. ისინი ხშირად გვეპატიჟებოდნენ სახლში და ცნობისმოყვარეობით, სითბოთი და სტუმართმოყვარეობით გვმასპინძლობდნენ. ზოგიერთი მაცხოვრებელი, ვისაც ვესაუბრეთ, დაინტერესდა და შემოგვიერთდა ფესტივალის დროს ან უფრო მოგვიანებით დასესწრო სტუდიურ ვორქშოფებს.
„ულევი“ ახლა უკვე ცნობილი გახდა სოფელში და ზოგჯერ ადგილობრივ ბაზარში ან საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც გვცნობენ. ერთი ქალი, რომელმაც მოგვმართა და შემოუერთდა ჩვენს სახელოსნოს, აღმოჩნდა არქეოლოგი და გამოგვიგზავნა უძველესი თიხის ტექნიკის ილუსტრაციები.“

თამარ ბაქრაძე,
მარტყოფი, 2024 წლის სექტემბერი

შემოქმედებითი რეზიდენცია

***ზურაბ ცოფურაშვილისა** და **ჯუმბერ ფეიქრიშვილის** ინდივიდუალური მობილობა შუაფხოში*

შემოქმედებითმა რეზიდენციამ შუაფხოში ახალი შესაძლებლობები შესთავაზა ფშავის შორეულ მთიან თემს, სადაც ადგილობრივ საჯარო სკოლაში მხოლოდ 13 მოსწავლეა - ეს რიცხვი ყოველწლიურად მცირდება. როგორც სკოლა, ასევე სოფლისთვის მნვავე გამოწვევაა დეპოპულაცია, ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვების გამო, რაც სამუშაოს შეზღუდულ პერსპექტივებს უკავშირდება.

პროექტმა ადგილობრივ მოსწავლეებს წარუდგინა ხელოვნებისა და შემოქმედების სფეროების, როგორც თვითგამოხატვისა და უნარების განვითარების პოტენციალი.
თეორიული და პრაქტიკული სემინარების მეშვეობით მოსწავლეები გაეცნენ სხვადასხვა მასალის გამოყენებით დამუშავების მრავალფეროვან და თანამედროვე ტექნიკებს.

ამ პრაქტიკულმა გამოცდილებამ მოსწავლეებს საშუალება მისცა აღმოეჩინათ ახალი შესაძლებლობები არსებულ ადგილობრივ რესურსებში, რაც, თავის მხრივ, თვითრწმენას უძლიერებს თემს.

მოსწავლეებისთვის ამ უნარ-ჩვევების განვითარებით, რაც მათ სხვადასხვა სფეროში შეუძლიათ გამოიყენონ, პროექტმა ახალგაზრდები განსხვავებული რაკურსით შეახედა საკუთარ მომავალს, როგორც ადგილობრივი თემის წევრებს. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, შესაძლოა, ახალმა პერსპექტივამ შეანელოს ფშაველი მოსახლეობის მიგრაცია.

„საგრანტო პროექტმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჩვენი საგანმანათლებლო მიდგომა და ხელი შეუწყო კავშირების დამყარებას ადგილობრივ საზოგადოებაში. სხვადასხვა წარმომავლობის მოსწავლის ჩართვამ საშუალება მოგვცა შეგვექმნა თბილისსა და რეგიონის დამაკავშირებელი ქსელი. მდგრადობის ჩვენი სამომავლო გეგმები მოიცავს შუაფხოს სკოლასთან თანამშრომლობის გაგრძელებასა და მხატვრების მოწვევას ვორქშოფების ჩასატარებლად. ამის სურვილი სკოლის დირექტორმა გაგვიზიარა. ამით ჩვენ ვუზრუნველყოფთ მოსწავლეების მუდმივ ჩართულობასა და განვითარებას.”

ზურაბ ცოფურაშვილი,
შუაფხო, 2024 წლის აგვისტო

საქსლო

***თამარ კალხიტაშვილისა** და **ანა გველესიანის** ინდივიდუალური მობილობა თუშეთში*

თამარ კალხიტაშვილისა და ანა გველესიანის მობილობის პროექტმა „საქსლო“ თუშეთში ტრადიციულ ხელსაქმეში ადგილობრივი ქალების ხელახლა ჩართვით თუშური ხელსაქმის ტრადიციები განაახლა და რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას შეუწყო ხელი.

სეზონური ტურისტული სამუშაოების გამო ტრადიციული ხელოსნობიდან გადასვლის საპასუხოდ, „საქსლომ“ შექმნა თანამშრომლობითი გარემო თუში ქალებისთვის, სადაც მათ შეძლეს დაბრუნებოდნენ ტრადიციულ საქმიანობას, როგორიცაა მატყლის ბუნებრივი შეღებვა და ქსოვა.

პროექტმა წარმატებით გააცოცხლა ტრადიციული ხელსაქმის ტექნიკა, გააძლიერა სათემო კავშირები და შექმნა კულტურული არქივი. პროექტმა სხვადასხვა თაობის ქალები გააერთიანა საერთო საქმის ირგვლივ, მათ შექმნეს და ამ პროცესში ისწავლეს ერთმანეთისგან და კიდევ უფრო გაამრავალფეროვნეს საერთო გამოცდილება.

თუშეთის სხვადასხვა სოფელში, მათ შორის ომალოსა და დიკლოში, მოეწყო სამუშაო შეხვედრები და სათემო შეკრებები ერთობლივი ქსოვისთვის, რომელშიც საერთო ჯამში, 16-84 ასაკის 13 ქალი ჩაერთო. ამ შეკრებებმა ხელი შეუწყო ტრადიციული ხელსაქმის, ისტორიების გაზიარებასა და თემის საკითხებზე დისკუსიებს, შეინახა ამ თანამშრომლობის შედეგები მომავალი თაობებისთვის. „საქსლომ“ მონაწილეებს მასალები და რესურსები გადასცა პერსონალური შემოქმედებითი პროექტების წახალისებისთვის, რასაც შედეგად ომალოში სათემო ნაქსოვი გობელენის შექმნა მოჰყვა. ეს გობელენი მონაწილეთა კოლექტიური ძალისხმევის სიმბოლოა და წარმოადგენს ხელშესახებ კავშირს წარსულსა და აწმყოს შორის, ხაზს უსვამს თუშური ტრადიციული რეწვის ღირებულებას.

„ჩვენ მჭიდროდ ვმუშაობდით ქალებთან სხვადასხვა სოფლებიდან, მათ შორის ომალოს, დიკლოს, დართლოსა და ვესტომთიადან, აქტიურად ჩავრთეთ ისინი პროცესის თითოეულ ფაზაში - მატყლის მომზადებიდან ბუნებრივი შეღებვით ქსოვამდე. სესიებზე თავიანთი უნიკალური უნარები და ცოდნა გამოავლინეს ისეთმა ქალებმა, როგორებიც არიან ნაზო თათარაიძე, ნათია ქარხილაური, ელენე ქარხილაური, თეა იდოიძე, რუსუდან ოთარიძე და სხვები. უხუცესებმა გაუზიარეს ღირებული ცოდნა, განსაკუთრებით ადგილობრივი ბუნებრივი საღებავების შეგროვებაში, როგორიცაა ლიქენები, რადგან ისინი კარგად იცნობდნენ მათი მოგროვების მდგრად პრაქტიკებს“.

თამარ კალხიტაშვილი,
ომალოო, 2024 წლის სექტემბერი

შემოქმედებითი კავშირები ორგანიზაციების მიერ

შემოქმედებითი სივრცეების, კულტურის ორგანიზაციებისა და სახელოვნებო რეზიდენციების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით, შვიდი საგრანტო პროექტი განხორციელდა. ამ ინიციატივებით საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობითი კავშირების შექმნას შეეწყო ხელი და დაისახა სხვადასხვა პროფესიული გამოცდილებისა და ინტერესების მქონე ხელოვანების ერთმანეთთან დაკავშირების, თანაშექმნისა და თანამშრომლობის წახალისების ახალი გზები.

ეს მიმართულება აერთიანებდა ორ განსხვავებულ ლოტს. **ლოტი 1: შემოქმედებითი სივრცეებისა და კულტურის ორგანიზაციების მხარდაჭერა,**

- საზოგადოების ჩართულობასა და შემოქმედებით სივრცეებში თანამშრომლობაზე ფოკუსით
- და **ლოტი 2: მხარდაჭერა მასპინძელი სახელოვნებო რეზიდენციებისთვის,**
- ინიციატივების განსახორციელებლად, სადაც ორგანიზაციებმა მოიწვიეს ხელოვანები და
- კულტურის პროფესიონალები მონაწილეობისა და
- თანაშექმნისთვის.

- მხარდაჭერის მისაღებად ორგანიზაციებისთვის
- სავალდებულო პირობას წარმოადგენდა
- საქართველოს რეგიონებში საქმიანობა და მინიმუმ
- ორწლიანი სამუშაო გამოცდილება კულტურის,
- შემოქმედებით ან სამოქალაქო სექტორში.

შემოქმედებითი სივრცეები და კულტურის ორგანიზაციები

გორის ვიდეო მეფინგის ფესტივალი

„გორის ფოტოგრაფთა კლუბის“ პროექტი

ვიდეო მეფინგის ფესტივალმა გორში თანამედროვე ხელოვნებისა და უახლესი ტექნოლოგიების სინთეზით თვალწარმტაცი აუდიო-ვიზუალური პერფომანსები შექმნა. პროექტმა აუდიო-ვიზუალური ნამუშევრებით დაზიანებულ შენობებსა და სივრცეებს ახალი დატვირთვა მისცა და გორი ციფრული ხელოვნების ჰაბად აქცია.

პროექტის ქვაკუთხედს წარმოადგენდა ინტენსიური სემინარების სერია გორიდან, თბილისიდან, სამეგრელოდან და კახეთიდან ჩართული 15 მონაწილისთვის. სწავლებამ მათ აუდიო-ვიზუალური და ვიდეო მეფინგის ტექნიკის ისეთი პრაქტიკული უნარ-ჩვევები განუვითარა, როგორიცაა: აუდიო-ვიზუალური ინსტალაციების დაგეგმვა და მოსამზადებელი სამუშაოები,

პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნიკური კორექტირება. შედეგად, მონაწილეებმა შექმნეს აუდიო-ვიზუალური ნამუშევრები, რომელთა პრეზენტაციაც ან ჩვენება დასკვნით ფესტივალზე მოხდა. დასკვნით ფესტივალზე წარმოაჩინეს.

პროექტის დასასრულს გამართულ საფესტივალო ჩვენებამ აუდიო-ვიზუალური მიმართულების არტისტებს თვითგამოხატვის ახალი გზებისა და შემოქმედებითი თანაკვეთების ძიების შესაძლებლობა მისცა - განხილული თემები მოიცავდა ეკოლოგიას, კონფლიქტებს, ომთან დაკავშირებულ ტრავმებს, ვიზუალურ ხელოვნებასა და ურბანულ განვითარების ტენდენციებს. ადგილობრივ თემსა და მონაწილე ხელოვანებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა ფესტივალის ბრენდინგი სახელწოდებით “DIGITALES” საკუთარი ლოგოთი, მთავარი მესიჯებითა და საერთო კონცეფციით.

ვიზუალური პერფომანსების შექმნის გარდა, ფესტივალზე საინტერესო და დისკუსიები წარიმართა ხელოვანებს შორის. შეიქმნა დინამიური შემოქმედებითი სივრცე, სადაც ხელოვნება, ტექნოლოგია და ინოვაცია ერთმანეთს შეერწყა. ფესტივალმა გორი აქცია არაჩვეულებრივი ვიზუალური გამოცდილებისთვის სცენად და გამოიწვია ინტერესი თანამედროვე ხელოვნებისა და ტექნოლოგიური პრაქტიკის მიმართ, მიიზიდა რა 400-დან 500-მდე ადგილობრივი აქტიური მონაწილე და მაყურებელი.

პროექტის გრძელვადიანი გეგმა მოიცავს გორში, საქართველოში ერთადერთი ვიდეო მეფინგის ყოველწლიური ფესტივალის დაარსებას.

„აფრა“ – გემების მოდელირების კურსი ახალგაზრდებისთვის

ირაკლი კეკელიას მიერ განხორციელებული პროექტი ქობულეთში

გემების მოდელირების სახელოსნოს „აფრა“ დამფუძნებლის, ირაკლი კეკელიას ფოთიდან ქობულეთში მობილობის ფარგლებში, ადგილობრივი ახალგაზრდები ხის ოსტატური დამუშავებისა და გემის მოდელირების ტექნიკებს გაეცნენ. სასწავლო კურსის უმთავრესი მიზანი ახალგაზრდებში შემოქმედებითი ოსტატობის მიმართ ინტერესის გაღვივება იყო. ერთი თვის განმავლობაში გემის მოდელირების თეორიულ და პრაქტიკულ გაკვეთილებში ჩაერთო ქობულეთიდან და მიმდებარე დასახლებიდან 25 ახალგაზრდა. მათ პირველად მიეცათ შესაძლებლობა ემუშავათ ხეზე და შეექმნათ ხის მოდელირებული გემები.

ირაკლი კეკელიას მენტორობით მონაწილეებმა შექმნეს სხვადასხვა ეპოქის გემის სამი მოდელი: ბერძნული უნირემა (არგო), კოლუმბის კარაველა (პინტა) და თანამედროვე საბუქსირო გემი (პატრიოტი). ქობულეთის მუზეუმში გამართულმა სემინარებმა მასპინძლებს ახალი იდეა შთააგონა - ლაზური ფელუკას მოდელის შექმნა, რაც პროექტის შემდგომი განვითარების ფოკუსად იქცა. გემების მშენებლობის ლაზური ტრადიცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებაზეა წარდგენილი.

შავი ზღვის სანაპირო ზოლის უნიკალური მახასიათებლების გათვალისწინებით ლაზური ფელუკას კონსტრუქციული დიზაინი და სამშენებლო ტრადიციები განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა სასწავლო კურსის მონაწილეებისთვის და თავად ირაკლი კეკელიასთვის ახალი შთამაგონებელი გამოწვევაა, რომელიც აგრძელებს ფელუკას კონსტრუქციის შესწავლას და მისი მოდელის შექმნას გეგმავს. ამ საქმიანობით, ის ხელს უწყობს საქართველოში ფელუკას მშენებლობის ტრადიციის შენარჩუნებას და წარმოჩენას, ტრადიციის, რომელიც თანამედროვეობაში თანდათად დავიწყებას მიეცა.

პროექტი დასრულდა ერთობლივი გამოფენით, სადაც წარმოდგენილი იყო გემების მოდელები და კურსის განმავლობაში შექმნილი მრავალფეროვანი ნამუშევრები.

„ქობულეთში პროექტის განხორციელების შედეგად, ადგილობრივი ტრადიციების მთაგონებით, ამ ეტაპზე ლაზური ფელუკას მოდელის შესაქმნელად ვამზადებ ნახაზებს და ვეცნობი ხელმისაწვდომ რესურსებს. ეს არის პროექტის ახალი ეტაპი, რომლის იდეაც ქობულეთში გაგვიჩნდა. ამ ინიციატივით, ჩვენ ჩავრთეთ დაინტერესებული პირები ქობულეთში სასწავლო პროცესში და მონაწილეებს გემების მოდელირებისა და ახალ იდეებზე მუშაობის შესაძლებლობა მივეცით.”

ირაკლი კეკელია,
ქობულეთი, 2024 წლის ოქტომბერი

ვიზუალური თხრობისა და დოკუმენტური ფოტოგრაფიის სემინარი

„კულტურა და კონტაქტების“ პროექტი ჭიათურაში

ჭიათურაში მცხოვრებმა მოყვარულმა ფოტოგრაფებმა „კულტურა და კონტაქტების“ პროექტის დახმარებით ახალი უნარები შეიძინეს ტექნიკური ფოროგრაფიისა და ამბების ვიზუალურად თხრობის მიმართულებით.

ინიციატივამ ხელი შეუწყო მონაწილეების შემოქმედებით განვითარებას, შექმნა ნარატივები, რომლებიც ასახავს ქალაქის უნიკალურ გარემოს და შექმნა ერთიანობის განცდა ფოტოგრაფიის საშუალებით.

ნათელა გრიგალაშვილისა და გურამ წიბახაშვილის მობილობით ჭიათურაში, ადგილობრივებს შემეცნებითი სემინარების ხელმისაწვდომობა გაუჩნდათ. დინამიური 7-დღიანი პრაქტიკულ სემინარზე ნათელა გრიგალაშვილი ხელმძღვანელობდა მონაწილეების ფოტოპროექტების შექმნის პროცესს. ფოტო ნამუშევრები დასკვნით საჯარო ღონისძიებაზე გამოიფინა, სადაც რეჟისორ ქეთი გიგაშვილის დოკუმენტური ფილმის „გამქრალი სოფლების“ ჩვენებაც გაიმართა,
ამ შემოქმედებითი მოგზაურობის კულმინაცია კი გურამ წიბახაშვილის საჯარო ლექცია იყო. ამ ღონისძიებამ მონაწილეებს საშუალება მისცა დამსწრე საზოგადოების წევრებისთვის გაეცნოთ თავიანთი ნამუშევრები და მათთან ერთად ემსჯელათ შემოქმედებითი გამოხატვის მნიშვნელობისა და ადგილობრივი ცხოვრების ფოტოდოკუმენტირების შესახებ. საჯარო ღონისძიებას 60-მდე ადგილობრივი დაესწრო.

პროექტის მონაწილეებმა თორმეტი ფოტოსერია შექმნეს. ფოტოები ასახავს ქალაქ ჭიათურის სოციალურ და კულტურულ გარემოს და წარმოაჩენს თემის აქტიურ ჩართულობას.

„ჩვენთვის, პროექტის მობილობის კომპონენტი არსებითი იყო ცოდნის გადაცემის გასაადვილებლად და ადგილობრივ მონაწილეებთან დასაკავშირებლად. ჩვენ ჭიათურაში გავაჩინეთ ხელმისაწვდომობა ისეთი პროფესიონალების გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებაზე, როგორებიც არიან ნათელა გრიგალაშვილი და გურამ წიბახაშვილი, რამაც განსაზღვრა პროექტის საერთო წარმატება.”

მირიამ გრიგალაშვილი,
პროექტის ხელმძღვანელი და თანამენტორი, ჭიათურა, 2024 წლის სექტემბერი

სოციალური საწარმო „ლიმენა“ - გარემოს ცვლილებისთვის

„ადამიანის უფლებათა და სოციალური სამართლიანობის კვლევითი ცენტრის“ პროექტი ფოთში

პროექტმა „სოციალური საწარმო „ლიმენა“ - გარემოს ცვლილებისთვის“ ფოთში, ქალაქში სადაც, კულტურულ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობა მწირია, დინამიური კულტურული და სათემო ღონისძიებები გამართა ადგილობრივთა მონაწილეობით. პროექტმა გაამრავალფეროვნა ქალაქის კულტურული ლანდშაფტი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ელემენტების შერწყმით და აამაღლა მოქალაქეების ეკოლოგიური თემებისადმი ცნობიერება.

გარემოსდაცვითი საკითხებისა და მაცხოვრებლების უფლებების ადვოკატირების ახალი მიდგომებით, მრავალწლიანი გამოცდილებით ორგანიზაციამ შექმნა ძლიერი სათემო კავშირები. პროექტი მოიცავდა ხუთდღიანი სემინარების სერიას, ფილმების ჩვენებას დისკუსიებით ხელოვნებისთვის და მათი ნამუშევრების გამოფენას. პროექტის მთავარ მიზანს ფოთის გარემოსდაცვითი გამოწვევების აქტუალიზება წარმოადგენდა შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზით. ამისთვის კონკურსით შერჩეული მხატვრებისთვის მოეწყო ღია ცისქვეშ ვორქშოფი, სადაც მხატვრებმა ფოთის გარემოსდაცვითი საჭიროებებით შთაგონებული ნამუშევრები შექმნეს. ამას მოჰყვა საჯარო განხილვა და გამოფენა „ლიმენაში“. „ბინამათას“ კინოჩვენებამ გამოინვია საინტერესო დისკუსია აქტივისტებთან და საზოგადოების წევრებთან გარემოსდაცვითი სირთულეების შესახებ, რომელშიც „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ იურისტმა სალომე შუბლაძემ წარმოადგენა მოხსენება ქვეყანასა და ქალაქში გარემოსდაცვითი საკითხებზე ვითარებაზე.

ფოტოგრაფიის კონკურსმა ასახა ფოთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა, რომელიც დასრულდა ფოტოგამოფენით.

ღონისძიებებში სულ 80-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის 19 მხატვარი ფოთიდან და სხვადასხვა რეგიონიდან. გამოფენას პროექტის მონაწილეების მეგობრები, ახლო წრე, სოციალური კაფეს სტუმრები დაესწრნენ, რამაც შექმნა ცოცხალი და დინამიური გარემო.

„ფოთში ჰაერის ხარისხის შემაშფოთებელი მდგომარეობა და მყარი ნარჩენებით დაბინძურება დიდი ხანია აწუხებს მოსახლეობას. პროექტის ღონისძიებებმა და ამ საკითხებზე საჯარო დისკუსიებმა გაზარდა ადგილობრივი ინტერესი, ხელი შეუწყო საზოგადოების პასუხისმგებლობას და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას შემოქმედებითი ძალისხმევის გამოყენებით. ამ მხარდაჭერამ გააფართოვა ჩვენი არეალი. ჩვენი მიზანია გავაგრძელოთ ხილვადობის გაზრდა ჩვენი პლატფორმის მიზნების მისაღწევად. ჩვენ ვგეგმავთ მსგავსი აქტივობების შენარჩუნებას მაღალი ინტერესის გამო“.

ელისო ჯანაშია,
„ლიმენას“ დამფუძნებელი, ფოთი, 2024 წლის ოქტომბერი

„შემოქმედების ცენტრში“

„ხელები მშვიდობისთვის“ პროექტი ზუგდიდში

პროექტის „შემოქმედების ცენტრში“ ფარგლებში ხელოვანების გაერთიანებების შექმნის შესაძლებლობა და თანაშექმნის ძლიერი კომპონენტი, განსაკუთრებულად ნაყოფიერი აღმოჩნდა მონაწილეებისთვის სამეგრელო-ზემო სვანეთიდან და აფხაზეთიდან.

თავდაპირველად, კონკურსის გზით კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის თორმეტი აქტიური მეწარმე შეირჩა, რომლებმაც შემდგომ ხუთი გაერთიანება შექმნეს. გაერთიანებებში სხვადასხვა შემოქმედებითი სფეროს პროფესიონალთა უნარები დაკავშირდა, რაც ერთობლივი წარმოებისა და საქმიანობის არეალის გამრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი საფუძველია. შეიქმნა ისეთი ურთიერთშემავსებელი გაერთიანებები, როგორიცაა ხის სათამაშოების წარმოებისთვის შეკერილი აქსესუარების დამატება, ინტერიერისა და ყვავილების დიზაინის შერწყმა, ტანსაცმლისა და აქსესუარების მოდელირება, ტყავის წარმოება და მოხატვა, ეპოქსიდის წარმოება ჰერბარიუმთან ერთად.

გაერთიანებებმა ითანამშრომლეს და ერთობლივად შექმნეს ნამუშევრები, რომლებიც გამოიფინა სამდღიან ფესტივალზე. ფესტივალმა მიიპყრო 200 ზრდასრულისა და 50 არასრულწლოვანის ყურადღება, უშუალო კომუნიკაციასა და ნამუშევრების დათვალიერებას, ახალი კერძო შეკვეთები და მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა მოჰყვა. შედეგად, ამ გაერთიანებებმა უფრო ძლიერ და მდგრად თანამშრომლობას დაუდეს სათავე, რაც გამოიხატება პროექტის შემდგომაც სხვა გამოფენებში მონაწილეობასა თუ ახალ ინდივიდუალურ შეკვეთებზე ერთობლივად მუშაობაში. ფესტივალმა გააძლიერა ადგილობრივი მოხალისეობის კულტურაც, 15 მოხალისე ჩართული იყო პროექტის განხორციელებისა და ღონისძიების ორგანიზების ყველა ფაზაში.

ამ აქტივობებით, პროექტმა გააძლიერა ცნობიერება და კავშირები ორგანიზაციისთვის „ხელები მშვიდობისთვის“, ხელი შეუწყო საერთაშორისო თანამშრომლობას, გუნდმა მიიღო მოწვევა გერმანიაში საერთაშორისო სემინარებზე დასასწრებად და ამით გაზარდა ორგანიზაციის ხილვადობა და კავშირები. მონაწილეთა გამოხმაურების საფუძველზე, „ხელები მშვიდობისთვის“ გეგმავს ფესტივალი ყოველწლიურ ღონისძიებად აქციოს და მხატვრებისთვის საზოგადოებრივი ცენტრები გახსნას.

თვალსაჩინოა, პროექტის რეალური გავლენა ძლიერი სათემო კავშირების დამყარებასა და ახალი შემოქმედებითი პროცესების წამოწყებაში, რაც უზრუნველყოფს მუდმივ თანამშრომლობასა და ხილვადობის ზრდას.

„წლებია ვქმნიდი ხის სათამაშოებს და ვიცოდი, რომ რაღაც აკლდა ჩემს პროდუქტს - ახლა მივხვდი, რა ყოფილა! ჩემ მიერ შექმნილი ხის სახლებისთვის ლიკა გოგიას მიერ შეკერილი დეტალებისა და აქსესუარების დამატებამ დაასრულა პროდუქტი და მაძლევს სრულყოფილების განცდას. ეს პროექტი დამეხმარა ჩემი ხედვების რეალიზებაში და თანამოაზრე პროფესიონალის პოვნაში, რომელიც შემოქმედებით ნაპერწკალს მატებს საერთო საქმეს. ჩვენ ვიღებთ სხვადასხვა შეკვეთას და შეუფერხებლად ვთანამშრომლობთ“.

დავით მოსიძე,
„დათო გაგუას სათამაშოების“ დამფუძნებელი, ზუგდიდი, 2024 წლის ოქტომბერი.

სახელოვნებო რეზიდენციები

თუშური არქიტექტურის ვორქშოფი

„აქთუშეთიის“ პროექტი ომალოში

„აქთუშეთიის“ რეზიდენციამ თუშური არქიტექტურის ვორქშოფით თუშური მატერიალური და არამატერიალური კულტურის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაში შეიტანა წვლილი. რეზიდენციის ფარგლებში ახალგაზრდა არქიტექტორები და ხელოვანები რეგიონის უნიკალური არქიტექტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციული სამშენებლო ტექნიკის კვლევაში ჩაერთნენ.

ათდღიანი რეზიდენციის განმავლობაში, რვა მონაწილე არქიტექტორი და მხატვარი (ოთხი თუშეთიდან და ოთხი სტუმარი), ომალოში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად თუშური კულტურის კვლევისა და შესწავლისთვის შეიკრიბა.

უპირველესი ამოცანა იყო თუშური არქიტექტურული ტექნიკების გაცნობა, ურბანული განლაგებისა და სამშენებლო მეთოდების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და ამასთან, თანამედროვე დიზაინის მდგრადი პრაქტიკების პოპულარიზაცია.

პროექტი მოიცავდა თუშეთის ისტორიულ ღირსშესანიშნაობებში ექსკურსიებს გიდის თანხლებით, მოხსენებებსა და პრაქტიკულ ვორქშოფებს. თანაშექმნის კომპონენტს „კამერა ობსკურას“ ერთობლივი მშენებლობა წარმოადგენდა, თუშური მშენებლობის ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, რაც ისტორიული ტექნიკის თანამედროვე ფუნქციონალურობასთან შერწყმის სიმბოლოა. ამ პროცესს თან ახლდა კულტურული გაცვლა, უნარებისა და ცოდნის გაზიარება და თემის აქტიური მონაწილეობა. ადგილობრივებისა და ახალგაზრდა პროფესიონალების უშუალო ჩართვით პროექტმა გააძლიერა კულტურული კავშირები, შექმნა სამუშაო ადგილები და გაზარდა თუშური მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერება ფართო არქიტექტურულ საზოგადოებაში. მონაწილეებმა მიიღეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები მშენებლობის ტრადიციულ მეთოდებში, რაც მათთვის შთაგონებად იქცა, გაიზიარონ ეს ღირებულებები მომავალ საქმიანობაში.

სოციალური მედიის საშუალებით პროექტმა მიაღწია ფართო აუდიტორიას, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა თუშური კულტურის ხილვადობა და აღქმა.

„თანაშექმნის პროცესი გარკვეულწილად გამოწვევაც იყო, რადგან ადგილობრივ მოსახლეობასა და სტუმრად ჩასულ მონაწილეებს განსხვავებული პერსპექტივები ჰქონდათ ტრადიციული და თანამედროვე ტექნიკის შერწყმასთან მიმართებით, ამიტომ, ბალანსის მოძებნა აუცილებელი გახდა. ამის გადასაჭრელად ჩვენ მოვაწყვეთ ღია განხილვები, რითიც საშუალება მივეცით ორივე ჯგუფს გაეცვალათ იდეები და ესწავლათ ერთმანეთისგან. ამ მიდგომამ გაამდიდრა პროექტი, ხელი შეუწყო ურთიერთპატივისცემის ჩამოყალიბებას და გააჩინა როგორც მემკვიდრეობის, ასევე სიახლეებისადმი დაფასების განწყობა.”

ალექსანდრე ზათიაშვილი,
პროექტის მენეჯერი, ომალო,
2024 წლის სექტემბერი

„პირველი პირის პაუზა”

„ლენის აკადემის“ პროექტი ქუთაისში

ქუთაისში გამართულმა გამოფენა-პერფორმანსმა „პირველი პირის პაუზა“ წარმატებით დააკავშირა ორგანიზაციები და ხელოვანები თბილისიდან და ქუთაისიდან და საფუძველი ჩაუყარა ერთობლივ მომავალ საქმიანობას. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სხვადასხვა დისციპლინის ხელოვანების გაერთიანება, მათი ინდივიდუალური პრაქტიკის გამდიდრება და გაფართოება იყო.

პროექტში ცხრა ხელოვანი და ორი კულტურის მენეჯერი ჩაერთო, ჩატარდა ვორქშოფები 20 ახალგაზრდა დამწყებ არტისტთან ერთად და გაიმართა საჯარო პერფორმანსი „ყველა ერთია“, რომელსაც 50-მდე ახალგაზრდა დაესწრო.

„ლენის აკადემის“ რეზიდენციამ თანაშემოქმედების ორგანული გზა შესთავაზა მონაწილეებს და თავისუფლების რეალური განცდით გაჟღენთილი საერთო ატმოსფერო შექმნა. წამყვანმა შემსრულებლებმა (მოცეკვავე და მუსიკოსი) ხელოვანების თანამონაწილეობით შექმნეს პროექტი, რომელშიც თითოეული მათგანის სათქმელი აისახა. საზოგადოების ჩართულობამ შემსრულებლებს საშუალება მისცა, ქუთაისელი ახალგაზრდების მიერ გაზიარებული განცდები თავიანთი პერფორმანსის ნაწილად ექციათ.

„პირველი პირის პაუზა“ მრავალფეროვანი სახელოვნებო გამოცდილებაა, რომელმაც გააერთიანა სენსორული, ვიზუალური, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ელემენტები. კერძოდ, ქუთაისელმა მუსიკოსებმა ახალი შემოქმედებითი შესაძლებლობები აღმოაჩინეს მოცეკვავეებთან და შემსრულებლებთან ერთობლივი მუშაობით, გააფართოვეს თვითაღქმა ხელოვნების შესაძლებლობების შესახებ.

მთლიანობაში, ამ პროექტმა აჩვენა, რომ ერთობლივი შემოქმედებითა და მობილობის ხელშეწყობით, ხელოვნება შეიძლება გარდაიქმნას ახალ ფორმებად და ამასთან, შეინარჩუნოს მისი ქართული ავთენტურობა. ადამიანებს შეუძლიათ პერსონალური საზღვრების გადალახვა და ინდივიდუალური თვითგამოხატვა ხელოვნებაში, ამავდროულად, მათ შეუძლიათ გააძლიერონ თავიანთი თემის კავშირები.

„მობილობა იყო პროექტის წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი, რადგან თბილისელმა არტისტებმა ქუთაისში ნაკლებად დაძაბული ატმოსფერო იპოვეს თავისუფალ და უსაფრთხო სივრცეში, ხოლო ქუთაისელმა არტისტებმა აღიარებისა და ნდობის მოპოვება შეძლეს. რეზიდენციის დროს მონაწილეებისთვის შეთავაზებული სივრცის ღიაობა დაეხმარა მათ გახსნასა და ჩვეული საზღვრების გადალახვაში“.

ტიმოთე აუდინი,
პროექტის მენეჯერი, ქუთაისი,
2024 წლის ოქტომბერი

შეჯამება

საგრანტო კომპონენტმა „შემოქმედებითი კავშირები 2024“ მრავალფეროვნებითა და ფართო მასშტაბით მოიცვა საქართველოს ცხრა რეგიონი. 24 ინიციატივით 48 სხვადასხვა დასახლებაში 1,100-ზე მეტი ბენეფიციარი და 4,000-ზე მეტი მონაწილე ჩაერთო შემოქმედებით პროცესებში და შეიქმნა კულტურული გაცვლისა და შემოქმედების ჰარმონიული კავშირები.

ხელოვანები და შემოქმედები პროფესიულ საქმიანობაში პირველად გასცდნენ საკუთარ გეოგრაფიულ არეალს თანაშექმნისა და თანამშრომლობის მიზნით. მათ აღმოაჩინეს რეგიონების ადგილობრივი კონტექსტის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალი, განავითარეს ახალი უნარ-ჩვევები და დაამყარეს კავშირები მრავალფეროვან თემებთან. იდეებისა და უნარების გაცვლამ ახალი პროფესიონალური ქსელები და თანამშრომლობები შექმნა. შედეგი, ახალი კულტურული ქსელია, რომელიც თანამოაზრეობისა და თანამშრომლობის იდეით დაიბადა. ამ პროექტებმა რეგიონებში ახალი შესაძლებლობების კარი გააღო და თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარების სულისკვეთება წარმოქმნა.

24-მა შთამაგონებელმა ამბავმა შექმნა შემოქმედებითი და მდგრადი კულტურული ლანდშაფტი საქართველოს მრავალფეროვან რეგიონებში, მაღალმთიანი სოფლებიდან შავი ზღვის სანაპიროებამდე.